# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-108

ქ. თბილისი "11" 03 2010 წ.

**შპს „სატრანსპორტო საამშენებლო კომპანია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ**

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „სატრანსპორტო საამშენებლო კომპანია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გარდაბნის რაიონში, სოფ. აღთაკლიაში ასფალტის წარმოებაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს „სატრანსპორტო საამშენებლო კომპანია"-ს.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* შპს „სატრანსპორტო საამშენებლო კომპანია"-ს განცხადება; *ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №07, 26.02.2010წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.*

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.*